



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N240**

24 თებერვალი 2021 წ.

ქ. რუსთავი

“ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმაში (ქვეზონების რუკა) (www.matsne.gov.ge, 03.12.2019წ., 010250020.35.160.016590) ხვდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის (დანართი 3) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საქმიანი ზონა (შზ-3)- საქმიანი ზონა წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საქმიან ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. ნებადართული სახეობებია:

- მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური დანიშნულება)
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები
- კვების და საოფისე ობიექტები
- მომსახურების ობიექტები
- სავაჭრო ცენტრი (ავტომობილების, ავტონაწილების, სამშენებლო მასალების, ავეჯის და სხვა)
- სასტუმრო
- ადმინისტრაციული ობიექტები
- გასართობი დაწესებულებები რომლის დანიშნულება მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა
- სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს

ბ. დადგენილებით დამტკიცებულ დანართში - „ქვეზონების რუკა“ შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (თან ერთვის საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.